საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
THE DEPARTMENT OF PATROL POLICE

№ 20/9-768866 „14“ 06 2012 წ.

შ.პ.ს. “ტრანს გაზი“–ს დირექტორს
ბ–ნ **ირაკლი ჩახტაურს**
თბილისი, გამრეკელის ქ. №19
ტელ. 224 25 90;
თქვენს 2012 წლის 11 ივნისის №01/06–ზე

ასლი: საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
ქ. თბილისის და მცხეთა–მთიანეთის მთ.
სამმართველოს უფროსის მოადგილეს
ბ–ნ **კ. დიღმელაშვილს**

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი წერილი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, დ.აღმაშენებლის ხეივნის მე–14 კილომეტრზე გაზგასამართ სადგურზე მისასვლელად და გამოსასვლელად საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის დროებითი სქემის შეთანხმებას.

ვითვალისწინებთ, რა ქ.თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის და საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ოპერატიული დეპარტამენტის 29.05.2012 წლის №03/406–1567 წერილობით თანხმობას საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ითანხმებს წარმოდგენილ სქემას და არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ ზემოთ აღნიშნული სამუშაოები შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებები განთავსდეს წარმოდგენილი დროებითი საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემის შესაბამისად;
- სამუშაოების დაწყება და დამთავრება ეცნობოს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამორიგეო ნაწილს (ტელ. 241 85 04; 241 85 05);

მეორე ადრესატს: გთხოვთ დააწესოთ კონტროლი და ზედამხედველობა ზემოთ აღნიშნული პირობების დაცვაზე და მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების განთავსების მდგომარეობაზე თანდართული სქემის შესაბამისად, შეუსრულებლობის შემთხვევაში არ დაუშვათ სამუშაოების წარმოება.

დანართი: “ “ ფურცლად.

პატივისცემით
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
II სამმართველოს უფროსი **კახა ონიანი**

თბილისი. კახეთის გზატკეცილი № 38
№ 38 Kahketi Highway, Tbilisi.
ტელ./Tel.: 41 85 02
ფაქსი/Fax: 41 85 02
E-mail: ushba@mia.gov.ge

"შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა"
ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის
საქალაქო სამსახურის უფროსის
მოადგილე
ნ. არჩუაძე

"შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა"
ქ. თბილისის და მცხეთა მთიანეთის
საპატრულო პოლიციის მთავარი
სამმართველოს უფროსის მოადგილე
[illegible]



საგზაო მოძრაობის სამეცნიერო ცენტრი ☎ +995(32)38-35-84 ბახტრიონის ქ. 12 email sctsgeorgia@gmail.com	საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემა
ავტოგასამართი სადგური ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი კმ -14 ზე. ნაკვეთის საკადასტრო კოდი 01.72.14.012.583 შ.პ.ს. "ტრანს გაზი" საკონტაქტო პიროვნება ირაკლი ჩახტაური 555218877	მ. 1:500

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტო

0160 ქ. თბილისი, ცინცაძის ქ. №28 ტელ: 38-62-20; 38-62-25; ფაქსი 38-62-21

2012 წლის „31“ მაისი № 01/01/340

შპს „ტრანსგაზი”-ს დირექტორს
ბატონ ი. ჩახტაურს

2012 წლს 25 მაისის ხელშეკრულების თანახმად. განხილული იქნა ქ. თბილისში დ. აღმაშენებლის ხეივნის მე-14 კმ-ზე, ავტოგაზგასამართი სადგურის სამშენებლო პროექტის არქიტექტურული ნაწილი. საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნების შესაბამისად. საპროექტო დოკუმენტაციაში გასათვალისწინებელია შემდეგი ღონისძიებები:

- ქალაქის წყალსადენზე დასამონტაჟებელია მიწისქვეშა სახანძრო ჰიდრანტი.
  საფუძველი: BCH 01-89 პ.3.5

- საოპერატორო და დამხმარე სათავსოებში მოეწყოს ავტომატური სახანძრო სიგნალიზაცია.
  საფუძველი: შსს 1999 წლის №472 ბრძანება ცხრილი 1 პ.19

უფროსის მოადგილე მ. ყირიმელი

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის
ოპერატიული და ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტი

№03/4006-1567 „29“ „05“ 2012 წ.

შ.პ.ს. „ტრანს გაზი“-ს
დირექტორ ი.ჩახტაურს

ბატონო ირაკლი,

თქვენი ა.წ. 24 მაისის №02/05 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქ.თბილისში, დ.აღმაშენებლის მე-14 კილომეტრზე გაზით ავტოგასამართი სადგურის მშენებლობის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები არ ეწინააღმდეგება ჩვენს მიერ დაგეგმილ დაცვით ღონისძიებებს.

გთხოვთ, სამუშაოების დაწყების ზუსტი დრო და ხანგრძლივობა შეგვითანხმოთ წინასწარ.

პატივისცემით,

დეპარტამენტის უფროსი ო.კუპრაშვილი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება
ტექნიკური და სამშენებლო
ინსპექცია

**STATE SUBDIVISION
TECHNICAL AND CONSTRUCTION
INSPECTION**

№ 728/01-21/3 04 07 2012 წ.

ტრანსგაზის დირექტორს
ბატონ ირაკლი ჩახტაურს

თქვენს 19.06.12 წლის
№02/06 წერილზე

ბატონო ირაკლი,

ინსპექციამ განიხილა თქვენი წერილი და თანდართული დოკუმენტაცია ქ. თბილისში დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-14 კილომეტრზე ავტოგაზგასამართ სადგურზე მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე, და გაცნობებთ შემდეგს.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 79 –ე მუხლის თანახმად აღნიშნული ობიექტი არ განეკუთვნება მე-V კლასის ობიექტს და მასზე მშენებლობის ნებართვის გაცემა არ შედის ინსპექციის კომპეტენციაში.

ასევე გაცნობებთ, რომ ავტოგაზგასამართ სადგურებზე ინსპექცია არ ახორციელებს ზედამხედველობას და შესაბამისად მისი საპროექტო დოკუმენტაციის განხილვა და შეთანხმება ასევე არ შედის ინსპექციის კომპეტენციაში

პატივისცემით,

ინსპექციის უფროსი გროგოლ კაკაუარიძე

0108, თბილისი, ბ. ჭანტურიას ქ. №12
ტელ.: (+995 32) 293-27-32, ფაქსი: (+995 32) 293-27-32.
Web: www.economy.gov.ge

12, Chanturia Str. 0108 Tbilisi, Georgia
Tel.: (+995 32) 293-27-32, Fax: (+995 32) 293-27-32
E-mail: tci@economy.ge